TBILISI STATE OPERA

თბილისის ბალეტის ფესტივალი

TBILISI BALLET FESTIVAL

22-30 ივნისი JUNE 2024

კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

Friends of
THE GEORGIAN BALLET

CHÂTEAU
MUKHRANI
DEPUIS 1878

SINCE 1884
SARAJISHVILI

LEXUS

TBC

MARRIOTT

L'OCCITANE
EN PROVENCE

FORTUNA.GE

AT

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი
Zakaria Paliashvili
Tbilisi Opera and Ballet State Theatre

თბილისის ბალეტის ფესტივალი
TBILISI BALLET FESTIVAL

22-30 ივნისი JUNE 2024

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი
ნინო ანანიაშვილი

Artistic Director of the Festival
NINA ANANIASHVILI

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი
ბადრი მაისურაძე

Artistic Director of the Tbilisi Opera and Ballet State Theatre
BADRI MAISURADZE

ნინო ანანიაშვილი
NINA ANANIASHVILI

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი
Artistic Director of the Tbilisi Ballet Festival

ბალეტის საერთაშორისო ფესტივალი თბილისში... მეხუთედ!

რთულად დასაჯერებელი იყო 2017 წელს, როდესაც პირველად ჩავატარეთ კლასიკური ცეკვის ზეიმი, რომ ფესტივალი დედაქალაქის კულტურული ცხოვრების ტრადიციად იქცეოდა, რომ ეროვნული ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გამოსვლა პრესტიჟული გახდებოდა ჩვენი უცხოელი კოლეგებისთვის, და რომ ჩვენი საბალეტო დასი ათასობით თაყვანისმცემელს შეიძენდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

დღეს, როდესაც ევროპის შუაგულში ომი მძვინვარებს, კულტურას განსაკუთრებული როლი აკისრია. ჩვენთვის ეს არის საშუალება კიდევ ერთხელ ვთქვათ, რომ თანამშრომლობის, სოლიდარობის, თავისუფლების, თანასწორობის, ადამიანის ღირსების, კანონის და სამართლის პატივისცემის, მათ შორის საერთაშორისო არენაზე, გარდა სხვა გზა არ არსებობს.

ზუსტად ამ პრინციპებზე არის დაფუძნებული ყოველი წარმატებული კლასიკური საბალეტო დასი, პიროვნებების ერთობა, რომელიც ემსახურება ხელოვნებას, სადაც სიცრუე შეუძლებელია.

მარტა გრეჰემმა ბრძანა: „მოცეკვავე ორჯერ კვდება. პირველად, – როდესაც ცეკვას თავს ანებებს. ეს სიკვდილი გაცილებით უფრო მტკივნეულია, ვიდრე მეორე“.

იმედია, კიდევ დიდხანს ვიცეკვებთ!

Photo by DAVID BANTSADZE

Tbilisi International Ballet Festival... for the fifth time!

It was nearly impossible to believe in 2017, when we organized the first celebration of classical dance that the Festival would become a cultural tradition of the Georgian Capital, that it would be so prestigious for our colleagues to appear onstage at The Tbilisi Opera and Ballet Theatre, and that The State Ballet of Georgia would acquire thousands and thousands of loyal followers in Georgia and beyond.

Today, when war is raging in the middle of Europe, culture shall play a very special role. This is another possibility for us to state that there is no other way and solution to our problems than cooperation, solidarity, freedom, equality, respect to human dignity, the rule of law in every aspect of our being, including international relations...

And what are the principals any successful classical ballet company – the unity of personalities, who serve the art, where it is impossible to lie – is based upon other than aforesaid?

Martha Graham once said, "a dancer dies twice – once when they stop dancing, and this first death is the more painful."

I hope we shall dance for many years to come!

22,23

ივნისი
JUNE

19:00

ფესტივალის გახსნა
OPENING OF THE FESTIVAL

თანამედროვე ქორეოგრაფიის საღამო
EVENING OF CONTEMPORARY CHOREOGRAPHY

პრემიერა | PREMIERE

თვალის დახამხამება
EYEBLINK

მარია ბარიოსის ქორეოგრაფია
Choreography by MARIA BARRIOS

ფერფლი
ASHES

სებასტიან კლობორგის ქორეოგრაფია
Choreography by SEBASTIAN KLOBORG

ლ. ეტო, მ. იამაგუჩი, რ. ტოშა
L. Eto, M. Iamaguchi, R. Tosha

სიზმრები იაპონიაზე
DREAMS ABOUT JAPAN

ალექსეი რატმანსკის ქორეოგრაფია
Choreography by ALEXEI RATMANSKY

25

ივნისი
JUNE

19:00

ადოლფ ადანი

ჟიზელი

ბალეტი ორ მოქმედებად

ჟან კორალის, ჟიულ პეროს და მარიუს პეტიპას ქორეოგრაფია
ალექსეი ფადეეჩევის ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა

სოლისტები:

ჟიზელი — მარია კოჩეტკოვა
საქართველოს სახელმწიფო ბალეტის წამყვანი სოლისტი

პრინცი ალბერი — დანიილ სიმკინი
ბერლინის სახელმწიფო ბალეტის და ამერიკის ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი
დირიჟორი: ლევან ჭაგაევი

Adolphe Adam

GISELLE

BALLET IN TWO ACTS

Choreography by JEAN CORALLI, JULES PERROT and MARIUS PETIPA
Choreographic version by ALEXEY FADEECHEV

Solosts:

Giselle — MARIA KOCHETKOVA
Leading Soloist of The State Ballet of Georgia

Prince Albrecht — DANIIL SIMKIN
Principal Dancer with Staatsballett Berlin and American Ballet Theatre

Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre Orchestra
Conductor: LEVAN JAGAEV

28

ივნისი
JUNE

19:00

ლუდვიგ მინკუსი

გაიადერა

ბალეტი ორ მოქმედებად

ნინო ანანიაშვილის ლიბრეტო
მარიუს პეტიპას და სერგეი ხუდეკოვის მიხედვით

მარიუს პეტიპას ქორეოგრაფია
გამოყენებულია ფრაგმენტები ვახტანგ ჭაბუკიანის
ქორეოგრაფიიდან (პა დ'აქსიონი)

ნინო ანანიშვილის და ალექსეი ფადეეჩევის
ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა

სოლისტები:

ნიკია	ლაურა ფერნანდესი *საქართველოს სახელმწიფო ბალეტის წამყვანი სოლისტი*
ჰამზათი	ნინო სამადაშვილი *საქართველოს სახელმწიფო ბალეტის წამყვანი სოლისტები*
სოლორი	მიხალ კარცმარი *ფინეთის სახელწიფო ბალეტის წამყვანი სოლისტი*

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა
და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი

დირიჟორი: პაპუნა ღვაბერიძე

28

ივნისი
JUNE

19:00

Ludwig Minkus

LA BAYADÈRE

BALLET IN TWO ACTS

Libretto by NINA ANANIASHVILI
after SERGEI KHUDEKOV and MARIUS PETIPA

Choreography by MARIUS PETIPA

Excerpts from VAKHTANG CHABUKIANI'S choreography (Pas d'Action) have been used

Choreographic version and staging by
NINA ANANIASHVILI and ALEXEY FADEECHEV

Soloists:

Nikiya — LAURA FERNANDEZ
Leading Soloists of The State Ballet of Georgia

Hamzatti — NINO SAMDASHVILI
Leading Soloists of The State Ballet of Georgia

Solor — MICHAL KRCMAR
Lead Principal Dancer of Finnish National Ballet

Tbilisi Zakaria Paliashvili Opera and Ballet State Theatre Orchestra

Conductor: PAPUNA GVABERIDZE

30

ივნისი
JUNE

19:00

პიოტრ ჩაიკოვსკი

გედების ტბა

ბალეტი ორ მოქმედებად

ვლადიმერ ბეგიჩევისა და ვასილ ჰელცერის ლიბრეტო

მარიუს პეტიპას და ლევ ივანოვის ქორეოგრაფია

ალექსეი ფადეეჩევის ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა

სოლისტები:

ოდეტა/ოდილია — ფუმი კანეკო

პრინცი ზიგფრიდი — ვადიმ მუნტაგიროვი

ინგლისის სამეფო ბალეტის წამყვანი სოლისტები

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი

დირიჟორი: ლევან ჯაგაევი

Pyotr Tchaikovsky

SWAN LAKE

BALLET IN TWO ACTS

Libretto by VLADIMIR BEGICHEV & VASIL HELTZER

Choreography by MARIUS PETIPA and LEV IVANOV

Choreographic version and staging by ALEXEY FADEECHEV

Soloists:

Odette/Odile — FUMI KANEKO

Prince Siegfried — VADIM MUNTAGIROV

Principals Dancers of the Royal Ballet

Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre Orchestra

Conductors: LEVAN JAGAEV

22,23

ივნისი
JUNE

პრემიერა I PREMIERE

თვალის დახამხამება
EYEBLINK

მარია ბარიოსის	Choreography:
ქორეოგრაფია	MARIA BARRIOS
მუსიკა:	Music:
ანტონიო ვივალდი	ANTONIO VIVALDI
(წელიწადის დრონი, ზამთარი),	(Four Seasons, Winter),
ასტორ პიაცოლა	ASTOR PIAZZOLLA
(ბუენოს-აირესის წელიწადის დრონი)	(Four Seasons of Buenos Aires)
განათება:	Lighting:
მაიკლ კანტროვიჩი	MICHAEL KANTROWITSCH
კოსტიუმები:	Costumes:
მარია ბარიოსი	MARIA BARRIOS
დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტი:	Assistant to the choreographer:
ნინო ოჩიაური	NINO OCHIAURI

...თვალის დახამხამებაში გვეცვლება განწყობა, ვივსებით გრძნობებით და გვერევა ემოციები. ისევე, როგორც წელიწადის დრონი გარბიან... თვალის მხოლოდ ერთ დახამხამებაში...

...It takes just the time of an eyeblink for our mood to swing, for our feelings to overwhelm us, for our emotions to take over. Just like the passage of the seasons... Just one eyeblink...

მარია ევგენია გარიოსი
MARIA EUGENIA BARRIOS

ქორეოგრაფი
Choreographer Ballet Master, Teacher

დაიბადა მსახიობების ოჯახში კარაკასში, ვენესუელა. ადრეული ასაკიდან დაიწყო კლასიკური და თანამედროვე მოცეკვავის საერთაშორისო კარიერა, შეიძინა მნიშვნელოვანი გამოცდილება ცნობილი ქორეოგრაფების ასისტენტად მუშაობის დროს. მარია 17 წლის განმავლობაში იყო კარაკასის თანამედროვე ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი. 2011 წლიდან ისრაელში ცხოვრობს.

ჯულიარდის სკოლის კურსდამთავრებული, მარია ბარიოსი იყო კანადის ეროვნული ბალეტის, ლუცერნის, ბერნის, ვერონას, ვენეციის, კარაკასის თანამედროვე ბალეტის და სხვა კომპანიების სოლისტი და წამყვანი მოცეკვავე. ამ და სხვა დასებისთვის მარია ბარიოსმა შექმნა ქორეოგრაფიული ნამუშევრები, რომლებიც შესრულდა მთელ მსოფლიოში და აღიარებულ იქნა კრიტიკოსთა მიერ.

მარია ბარიოსმა დადგა მრავალი წარმატებული სრულმეტრაჟიანი სპექტაკლი: „ტრავიატა“, „კარმინა ბურანა“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „ანა ფრანკის დღიური“, „გაზაფხულის რიტუალი“, შექმნა დადგმები რახმანინოვის, ჩაიკოვსკის, პენდერეცკის, პიარტის, სტრავინსკის მუსიკაზე, ვენესუელურ ტრადიციულ სიმღერებზე.

მარია ბარიოსი ცეკვავდა რუდოლფ ნურიევთან; იყო აშშ, კანადის, იტალიის, ბრაზილიის, პარაგვაის, მექსიკის და სხვა საბალეტო დასებისა და საერთაშორისო გალა-კონცერტების მიწვეული მსახიობი.

მარია ბარიოსი ფლობს რამდენიმე საერთაშორისო პრიზს – ეროვნული ცეკვის ჯილდოს, საუკეთესო ქორეოგრაფის პრიზს (ვენესუელა), პირველ პრიზს La Scéne

Maria Eugenia Barrios was born in Caracas, Venezuela to a family of artists. Starting at a very early age, M. Barrios has developed simultaneous international careers as a classical and contemporary dancer, choreographer and master teacher, and has acquired substantial experience as a ballet mistress, assistant to renowned choreographers. Ms. Barrios was for 17 years, Artistic Director of the Caracas Contemporary Ballet. Since 2011, Ms. Barrios lives in Israel.

A graduate of Juilliard School, New York, Miss Barrios has been soloist and principal dancer in several companies such as National Ballet of Canada, Ballets of Luzern and Bern, Switzerland, Arena of Verona and Venice Ballet, Italy, Caracas Contemporary Ballet, among others. For these companies and others, Maria Barrios has created many choreographic works, performed to critical acclaim around the world.

M. Barrios has choreographed many successful full length productions: *La Traviata, Carmina Burana, Midsummer night's Dream, The Diary of Anne Frank, The Rite of Spring* and many other works to music of Rachmaninov, Tchaikovsky, Penderecki, Venezuelan Traditional, Ladino songs, Arvo Part, Stravinsky.

Her original educational outreach youth program: *Let' s Dance* reached over 150,000 kids in Venezuela and received international awards (Unesco, Citibank)

Ms. Barrios has danced with many international ballet stars such as Rudolf Nureyev and she has been a Guest Artist with companies and International Ballet Galas (USA, Canada, Italy, Brasil, Paraguay, Mexico and more).

francaise-ზე (საფრანგეთი), მეორე პრიზს კიოლნის საერთაშორისო ფესტივალზე (გერმანია), ნიონის საერთაშორისო კონკურსის პირველ პრიზს (შვეიცარია), იუნესკოს პრიზს საუკეთესო საგანმანათლებლო პროგრამისთვის და სხვა.

მარია არაერთხელ იყო მიწვეული საერთაშორისო ცეკვის კონკურსების ჟიურიში. მას აქვს საბალეტო სპექტაკლების კოსტიუმების დიზაინერის კარიერა და მიღებული აქვს მრავალი პრიზი. როგორც მოწვეული მასწავლებელი, მარია ბარიოსი ატარებდა მასტერკლასებს სხვადასხვა კომპანიაში სან-პაულოში, ბრაზილიაში, ამსტერდამი, ნიუ-იორკში, თბილისში, ისრაელის ბალეტის სკოლაში და ისრაელის ბევრ სხვა სკოლაში.

მარია ბარიოსს ეკუთვნის შემდეგი დადგმები: მიუნხენში Bayerisches Staats თეატრის დასისთვის – „სამი სიყვარული“ (2016); ჩინეთის ჩონგინგის ბალეტის თეატრისთვის (2017). *Eyeblink* მიუნხენის BJBM-სთვის (2019). 2022 წელს, მიუნხენის ბალეტისთვის მარიამ ხელახლა დადგა თავისი *Eyeblink*. ბალეტი წარმოდგენილი იქნა ისრაელში 2023 წლის მარტში.

Ms. Barrios has been recipient of several international prizes (National Dance Award of Venezuela, Best Choreographer prize, Venezuela, 1st prize at La Scénefrancaise, Paris, 2nd prize at Koln International Festival, Germany, 1st prize at International competition Nyon, Switzerland, Unesco Prize for Best Educational program, among others.

M. Barrios has been invited in multiple occasions to be a judge at international dance competitions . Maria Barrios has an extensive career also a costume designer for dance productions and has been recipient of prizes for her designs, such as Best Designer for Dance, (2008), Caracas, Venezuela. She has set two of her works at the Israel Ballet and her *Diary of Anne Frank* and The Prince of Egypt (musical) have been in the repertory of the National Youth Theatre. As a guest master teacher, Ms. Barrios has taught several companies in countries around the world (Sao Paulo Dance co., Georgia Ballet, Joinville Festival (Brazil), H. Jurriens Found. (Amsterdam), Peridance (New York), Liaoning and Chongqing Ballet Cos. (China), among others. She has been teaching extensively at Thelma Yalin High School of Performing Arts, at the Israel Ballet School and many other different schools in Israel.

In 2016 M. Barrios created in Munich, Germany, her choreography *Three Loves* for the Bayerisches Staatstheater Junior Company and did a choreography workshop with the Chongqing Ballet Theatre, China. In 2017 Maria has created a new work for the Chongqing Ballet Theatre, China. In 2019 Maria created *Eyeblink*, her 2nd commissioned work for the BJBM in Munich and *The Seasons*, a full evening show for the Acrobats of Shandong and the Beijing Symphonietta, for which she has also designed the costumes and the props. Also in 2019 M. Barrios created a work for the Choreographic Institute of the Ballet Hispanico, New York. In 2022, for the Munich Junior Ballet, Maria has recreated her *Eyeblink*, and it was performed in their tour of Israel last March.

მაიკლ კანტროვიჩი
MICHAEL KANTROWITSCH

განათების დიზაინერი
Lighting Designer

20 წელზე მეტია გერმანელი განათების დიზაინერი საკუთარ უდიდეს გატაცებაზე მუშაობს და ქმნის განათებას სხვადასხვა მხატვრული და ვიზუალური ფორმით.

ახალგაზრდობაში იგი გაეცნო სცენის განათებას ქალაქ ვარენდორფის ადგილობრივ თეატრში, დასავლეთ გერმანიაში, სადაც მან ბავშვობა გაატარა. ჰილდესჰაიმში, გამოყენებითი მეცნიერებებისა და ხელოვნების უნივერსიტეტში (HAWK) სწავლის დროს მან დააარსა განათების დიზაინის საკუთარი ბიზნესი. მომდევნო 15 წლის განმავლობაში მაიკლ კანტროვიჩი მოგზაურობდა მთელ მსოფლიოში და ქმნიდა განათების დიზაინს თეატრისა და ბალეტის, ტელევიზიის, მუსიკალური ფესტივალების, კონცერტების, სპორტული და კორპორატიული ღონისძიებების, საერთაშორისო სავაჭრო ბაზრობების და არქიტექტურული პროექტებისთვის. 2014 წლიდან იგი მუშაობს სპექტაკლების განათების დიზაინზე ბავარიის ახალგაზრდული ბალეტისთვის (მიუნხენი) გერმანიაში და მთელ მსოფლიოში.

2022 წელს, კოვიდ პანდემიის გამო, მაიკლ კანტროვიჩმა ყურადღება გაამახვილა არქიტექტურული განათების დიზაინზე და დააარსა თავისი ახალი ბიზნესი "Warendorfleuchten" – ოფისი და შოურუმი განათების დიზაინისთვის. ახალგაზრდა და პროფესიონალ გუნდთან ერთად ის ახლა პროექტებს ქმნის არქიტექტურული სამყაროსთვის – საცხოვრებელი ფართებიდან დაწყებული ფეხბურთის სტადიონების და სხვა დიდი ექსტერიერის პროექტების შექმნით დამთავრებული.

მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა კანტროვიჩის შემოქმედებითი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია, მხატვრული და თეატრალური, განსაკუთრებით საბალეტო პროექტებისადმი მისი დიდი გატაცების გამო.

Michael Kantrowitsch is a German lighting designer. For more than 20 years, he has been working for his greatest passion: light in all its various artistic and visual forms. In his young days, he got to know stage lighting as a visual multiplier of music at the local theatre in Warendorf, a city in western Germany where he spent his childhood. During his studies at the HAWK (University of Applied Sciences and Arts) in Hildesheim, he established his own business "arsluminis lighting design". For the next 15 years, Michael Kantrowitsch travelled around the world and created lighting designs for theatre and ballet, television, music festivals, concerts, sport events, corporate events, international trade fairs and architectural projects. Since 2014, he has been responsible for the lighting design for all performances of the Bavarian Junior Ballet Munich in Germany and around the globe.

In 2022, because of the corona crisis, Michael Kantrowitsch focused on architectural lighting design and established his new business "Warendorfleuchten" – a planning office and showroom for lighting design. Together with a young and professional team he is now designing light for the architectural world – from residential spaces, restaurants and SPAs to large exterior projects like football stadiums – always aiming to design the perfect atmosphere.

While "Warendorfleuchten" is based in Kantrowitsch's hometown, travelling around the world for light creations remains a very important part of his life due to his great passion for artistic and theatrical projects, especially ballet performances.

22,23

ივნისი
JUNE

პრემიერა I PREMIERE

ფერფლი
ASHES

ერთმოქმედებიანი თანამედროვე ბალეტი „ფერფლი“ არის ქორეოგრაფ სებასტიან კლობორგის და რეჟისორისა და დრამატურგის დავით ხორბალაძის ერთობლივი ნამუშევარი, რომელიც დაფუძნებულია ამავე ქორეოგრაფის სპექტაკლზე „The Rest of The Best“. სპექტაკლის ქართული ვერსიისთვის ორიგინალური მუსიკა ნატალია ბერიძემ დაწერა.

ეს ბასრი იუმორით სავსე სპექტაკლი, ცეკვის სინქრონული, კალეიდოსკოპური ფორმებით და ვერბალური და ფიზიკური თეატრის ელემენტების სინთეზით, ხელოვნების ნაწარმოების შექმნისა და მისი გარდაქმნის პროცესს უკუსვლით აღწერს და წარმოგვიდგენს სპექტაკლის ორ ვერსიას – ავტორის ჩანაფიქრს და საბოლოო ვერსიას.

One-act modern ballet *Ashes* is a collaborative work of choreographer Sebastian Kloborg and director and playwright Davit Khorbaladze, based on the same choreographer's play, *The Rest of The Best*. Natalie Beridze wrote the original music for the Georgian version of the performance.

This performance, full of sharp humor, with synchronous, kaleidoscopic dance formations and synthesis of verbal and physical theatre forms, describes the process of creating and transforming a work of art backwards. It presents two versions of the play – the author's idea and its final version.

სებასტიან კლობორგის კონცეფცია, ქორეოგრაფია, განათება და კოსტიუმები	Original concept, choreography, lighting and costumes: SEBASTIAN KLOBORG
თანარეჟისორი და დრამატურგი: დავით ხორბალაძე	Co-direction, playwright and dramaturgy: DAVIT KHORBALADZE
მუსიკა: ნატალია ბერიძე ლეო მატისენი	Music: NATALIE BERIDZE LEO MATTHIESSEN
დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტი: ლანა მღებრიშვილი	Assistant to the choreographer: LANA MGHEBRISHVILI

სებასტიან კლოგორგი
SEBASTIAN KLOBORG

ქორეოგრაფი
Choreographer

დაიბადა კოპენჰაგენში (დანია). 2003 წელს დაამთავრა დანიის სამეფო საბალეტო სკოლა. 2005 წელს შედგა მისი, როგორც სოლისტის დებიუტი საქართველოს სახელმწიფო ბალეტში სპექტაკლში „ამაო სიფრთხილე“.

2003-2016 წწ. ცეკვავდა დანიის სამეფო ბალეტში, 2012-2014 წწ. შტუტგარტის ცეკვის კომპანიაში Gauthier Dance.

2016 წლიდან არის დამოუკიდებელი მოცეკვავე და ქორეოგრაფი. მისი ქორეოგრაფიული დადგმები შესრულდა დანიის სამეფო ბალეტში, დანიის ცეკვის თეატრში, ინგლისის ნაციონალურ ბალეტში.

2023 წელს იგი დასახელდა წლის რეჟისორად დანიაში Danish Theatre Awards დაჯილდოების ცერემონიაზე კოპროდუქციისთვის “Of Dark Spring”, 2022 წელს კი მიიღო პრიზი „საუკეთესო თეატრალური სპექტაკლისთვის“ კოპენჰაგენის ბეტი ნანსენის თეატრში განხორციელებული სპექტაკლისთვის “Of Pride and Prejudice”.

Sebastian Kloborg was born in Copenhagen, Denmark and was educated from the Royal Danish Ballet School in 2003. In 2005 he made his soloist debut with the State Ballet of Georgia in *La Fille Mal Gardée*.

He danced with the Royal Danish Ballet from 2003–2016 and with Gauthier Dance/Stuttgart from 2012–2014.

Since 2016 he has been an independent dancer and choreographer. His choreographic work spans from pieces for The Royal Danish Ballet, Danish Dance Theatre, English National Ballet to collaborating with theatre directors.

In 2023 he was named Director of the year in the Danish Theatre Awards for his co-direction of Dark Spring and in 2022 for Best Theatre Play for his collaboration on a version of Pride and Prejudice for Betty Nansen Theatre in Copenhagen.

დავით ხორბალაძე
DAVIT KHORBALADZE

თანარეჟისორი, დრამატურგი
Co-director, playwright and dramaturg

დაიბადა თბილისში. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 2016 წელს დავით ხორბალაძემ, თანამოაზრეებთან ერთად დაარსა „ღია სივრცე“ – ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრი და მუშაობს, როგორც თეატრის კურატორი.

სხვადასხვა თეატრისა და არასათეატრო სივრცეებისთვის მისი ნამუშევრებია: „წუხილი“ (2015, დრამატურგი და რეჟისორი), „შიმშილის ღმერთი“ (2016, დოკუმენტური სპექტაკლი, თანარეჟისორი და დრამატურგი), „მშობელთა კრება“ (2017, თანარეჟისორი და დრამატურგი), სარა კეინის პიესა „წყურვილი“ (2017, რეჟისორი და კომპოზიტორი), „მკვდარი ქალაქები“ (2017, დრამატურგი და კომპოზიტორი), „შრომის კოდექსი - კლასგარეშე საკითხავი“ (2017, პერფორმერი), „კატარინა ბლუმის შელახული ღირსება“ (2016, ადაპტაცია თეატრისთვის), „ლაშა-გიორგი ისრულებს ოცნებას“ (2018, დრამატურგი), „გახეთქილი ყბა“ (2019, დრამატურგი, კომპოზიტორი, რეჟისორი), „ადგილები/მდებარეობები“ (2020, ხმის ინსტალაცია), „მამა თავს იხრჩობს ტყეში“ (2020, რეჟისორი და კომპოზიტორი), „პირველი აქტი“ (2020, დრამატურგი და ხმის დიზაინერი), „ტკეპნა“ (2021, დრამატურგი და ხმის დიზაინერი), „ბრწყინვალე მეუღლეები“ (2021, დრამატურგი და რეჟისორი), „დაცული ტერიტორია“ (2021, დრამატურგი და რეჟისორი), UNMEMORY (2021, დრამატურგი და რეჟისორი), „მკვდარი ძაღლები“ (2022, რეჟისორი და კომპოზიტორი), *UNLOVE* (2023, რეჟისორი, დრამა-



Photo by SERGEY FADEEV

Theatre director, playwright, and composer Born in Tbilisi. After his graduation from Shota Rustaveli State Theatre and Film University, Khorbaladze became one of the founders of *Open Space* – Visual and Performance Arts Centre, Tbilisi and its Director of Theatre in 2016.

His works for various theatres include *Sorrow* (as a playwright and director) (2015), *God of Hunger* (2016, a documentary performance, co-director and playwright), *Parents' Meeting* (2017, co-director and playwright), *Crave* (a play by Sarah Kane as a director and composer, 2017), *Dead Cities* (2017, playwright and composer), *Labour Code – Extracurricular Reading* (2017, performer), *The Lost Honour of Katharina Blum* (2016, adaptation for theatre), *Lasha-Giorgi Makes His Dream Come True* (2018, playwright), *The Cracked Jaw* (2019, playwright, composer, director), *Places/Locations* (2020, sound installation), *Daddy Hangs Himself in the Forest* (2020, a video performance based on the play by Przemysław Pilarski, director and composer), *First Act* (2020, playwright and sound design), *Ramming* (2021, playwright and sound design), *Divine Matrimonies* (2021, playwright and director), *Protected Area* (2021, playwright and director), *Unmemory* (2021, playwright and director), *Dead Dogs* (2022, director and composer), *Unlove* (2023, Director, playwright and composer), *Pathetique Monologues* (2023, play by Temo Rekhviashvili, original music).

ტურგი და კომპოზიტორი), „პათეტიკური მონოლოგები“ (2023, კომპოზიტორი).

2022 წელს დავით ხორბალაძემ მონაწილეობა მიიღო ვენეციის 59-ე საერთაშორისო ხელოვნების ბიენალეზე, კომპოზიტორისა და ხმის დიზაინერის ნამუშევრით (*I Pity the Garden* – მარიამ ნატროშვილი და დეთუ ჯინჭარაძის VR ინსტალაცია). ის ასევე მუშაობს კომპოზიტორად კინოსა და ტელევიზიაში.

თავის ტექსტებსა და სპექტაკლებში დავით ხორბალაძე იკვლევს პიროვნული და კოლექტიური მეხსიერების, სექსუალობის, იდენტობის, სოციალური უთანასწორობისა და უმცირესობების საკითხებს, პოლიტიკისა და ადამიანის სხეულის რთულ ურთიერთკავშირს. მისი ნამუშევრებისთვის დამახასიათებელია პოლიტიკური თემებისა და მასობრივი კულტურის გამოსახულებების გადაკვეთა მგრძნობიარე, დოკუმენტურ პირად ისტორიებთან.

In 2022, Khorbaladze took part in the 59th International Art Exhibition (The Venice Biennale) as a composer and sound designer for the official Georgian submission (I Pity the Garden, a VR installation). He also works as a composer for film and television.

In his texts and performances Davit explores the themes of personal and collective memory, sexuality, identity, social inequality, and the fate of minorities, as well as the intricate interplay between politics and the human body within the Georgian society. He is particularly interested in the intersection of these political themes and mass-produced culture with very sensitive and documentary personal stories.

ნატალია ბერიძე
NATALIE BERIDZE

მუსიკოსი და კომპოზიტორი
composer and songwrite

ნატალია ბერიძე 2003 წლიდან მსოფლიოს მასშტაბით მართავს კონცერტებს; ცნობილია როგორც ელექტრონული მუსიკის პირველი ქალი შემსრულებელი საქართველოდან. 2002 წელს ნატალიამ გერმანიაში ჩამწერ სტუდიასთან გააფორმა კონტრაქტი და 2008 წლამდე ქალაქ კიოლნში განაგრძო მოღვაწეობა.

სოლო პროექტების გარდა იგი თანამშრომლობდა ისეთ არტისტებთან, როგორებიცაა: თომას ბრინკმანი, გუდრუნ გუტი, იორგ ფოლლერტი, მარკუს შმიკლერი, ნიკა მაჩაიძე, რიუიჩი საკამოტო, გაჩა ბაქრაძე, ალექსანდრე კორძაია, ანიკა ჰენდერსონი, ბარბარა მონგერშტერნი, ბეატე ბარტელი, დანილე დე პიჩიოტო, გუდრუნ ბრედემანი, ლუკრეცია დალტი, მერია კოკონნეი, მომმო ჯი, პიოლა კრაჩი და სხვები.

მისი მუსიკა გახლავთ ადამ კერტისის ბოლოდროინდელი BBC-ის დოკუმენტური სერიალის Can't Get You Out of My Head ნაწილი. ქართული ელექტრონული მუსიკისა და სიმღერების შექმნაში შეტანილი წვლილის გარდა, ნატალია ბერიძე მუშაობს ფორტეპიანოს, ორკესტრისა და გუნდისთვის განკუთვნილ მუსიკაზე.

მის საფორტეპიანო ნაწარმოებებს ასრულებს ქართველ-შვეიცარიელი პიანისტი თამრო კორძაია, შვეიცარიელი მუსიკოსი ვერა კაპელერი, საფორტეპიანო და სიმებიანი ტრიო Mondrian Ensamble-ს, Zagareli and Strings-ი („ცაგარელი და სიმები"), თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი და სხვა არტისტები.

ნატალია არის Monika Werkstadtt-ს კოლექტივის წევრი, რომელიც დაარსდა 2015 წელს და შედგება ქალი ელექტრონული მუსიკოსებისა და პროდიუსერებისგან. თა-

Since 2003, Natalie has been performing live concerts worldwide, and has been known as the first female electronic music artist from Georgia. In 2002, she landed a record deal in Germany and moved to Cologne till 2008 and produced music under the artist's name TBA. She's released music in Europe on Max.E, Monika Enterprise, CMYK, Laboratory Instinct, CES Records DADO records, Apollo Records Chainmusic, CES Records, ROOM40.

In addition to her solo projects, she has collaborated with artists such as Thomas Brinkmann, AGF (Antye Greie), Gudrun Gut, Joerg Follert, Marcus Schmickler, Nika Machaidze aka Nikakoi, Ryuichi Sakamoto, Gacha Bakradze, Alex Kordzaia, Annika Henderson, Antye Greie-Fuchs, Barbara Morgenstern, Beate Bartel, Danielle De Picciotto, Gudrun Bredemann, Lucrecia Dalt, Merja Kokkonen, Mommo G, Pilocka Krach, Sonae.

Beridze's music is part of Adam Curtis's recent BBC Documentary series Can't Get You Out of My Head.

Besides her contribution in Georgian electronic music and song writing, Beridze works on music for piano, orchestra and choir. Her piano pieces were performed by Georgian-Swiss pianist Tamro Kordzaia and Swiss-born Vera Kappeler, piano and string trio Mondrian Ensamble, Zagareli and Strings, Tbilisi State Opera Orchestra, etc.

ვისუფალმა კოლექტივმა გამართა ათობით იმპროვიზირებული კონცერტი ევროპა-ში, გამოუშვა სტუდიური ალბომები.

ნატალიას ბოლოდროინდელი კომპოზიციები, ფორტეპიანოს, კლავიშებიანი ინსტ-რუმენტის, სოპრანოსა და კასეტისთვის, ციურიხში დაფუძნებული Kiosk Ensemble-ს პროგრამის ნაწილია.

ნატალია ბერიძე, ნიკა მაჩაიძესთან ერთად, Creative Education Studio-ში (CES) უძღ-ვება სასწავლო კურსს – „სიმღერის შექმნა და მუსიკის წარმოება“.

Beridze has been part of the collective Monika Werkstadtt on Monika Enterprise, its latest release took place during the Covid19 lockdown, over Zoom. M-Sessions is offering a contemporary version of Mania D, Malaria and Matador's music for the 40th anniversary plus the rare originals.

Bringing the past into the now and into the future. Founded in 2015, comprising female electronic musicians and producers from the entourage of Monika Enterprise and Moabit Musik. The loose collective played dozens of improvised concerts around Europe and released a studio album and live recordings in ever-changing artist constellations.

Natalie Beridze's recent compositions for piano, keyboard, soprano and tape are part of the ongoing program of Zurich-based Kiosk Ensemble.

Beridze, alongside Nika Machaidze, teaches songwriting and music production at CES (Creative Education Studio).

22,23

ივნისი
JUNE

ლ. ეტო, მ. იამაგუჩი, რ. ტოშა
L. Eto, M. Iamaguchi, R. Tosha

სიზმრები იაპონიაზე
DREAMS ABOUT JAPAN

ერთმოქმედებიანი ბალეტი
ONE-ACT BALLETY

ალექსეი რატმანსკის ქორეოგრაფია	Choreography by ALEXEI RATMANSKY
ალექსეი ფადეეჩევის დადგმა	Staging: ALEXEY FADEECHEV
დამდგმელი მხატვარი: მიხეილ მახარაძე	Stage Designer: MIKHEIL MAKHARADZE
განათების მხატვარი: ამირან ანანელი	Lighting Designer: AMIRAN ANANELI
პედაგოგ-რეპეტიტორი: ლალი კანდელაკი	Ballet Master-Repetiteur: LALI KANDELAKI
პრემიერა თბილისში გაიმართა 2004 წლის 6 ნოემბერს	**Premiered in Tbilisi on November 6, 2004**

ბალეტის შექმნის იდეა ნინო ანანიაშვილს ეკუთვნის. მოსკოვის „ბოლშოი“ თეატრში ბალეტის პრემიერა 1998 წლის 7 იანვარს შედგა. „სიზმრები იაპონიაზე“ ალექსეი რატმანსკიმ ბალეტის ვარსკვლავების – ნინო ანანიაშვილის, ტატიანა ტერეხოვას, ინა პეტროვას, ალექსეი ფადეეჩევის, სერგეი ფილინის, ანდრეი უვაროვისა და დიმიტრი გუდანოვისათვის დადგა.

„სიზმრები იაპონიაზე“ შექმნილია კაბუკის თეატრის ოთხი განთქმული პოეტური პიესის („სიოსაგატო“) მიხედვით.

I. „საგი მუსუმე“ – ქალწული-წერო უმღერის თავის უიღბლო სიყვარულს;
II. „ფუტა ომოტე“ – ბოროტი აჩრდილი. ცოლი და ქმარი, რომლებიც საყვარლებმა დატოვეს, თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს. მათი განდეგილი სულები ერთიანდებიან ბოროტ აჩრდილში – ნახევარ-კაცი და ნახევარ-ქალი, რომელიც შურისძიებით შეპყრობილი დაედევნება საყვარლებს და სიცოცხლეს მოუსწრაფებს მათ;
III. „მუსუმე დოჯოჯი“ – დოჯოჯის ტაძრის ქალწული. ახალგაზრდა ბერი უარყოფს ქალწულის სიყვარულს. მწუხარების, გატეხილი გულისა და შეურაცხყოფის გამო ქალწული ცეცხლოვან გველად გარდაისახება. სამაგიეროს გადახდის მიზნით იგი აედევნება შეშინებულ ბერს და სიცოცხლეს გამოასალმებს.
IV. „კაგამი ჯიში“ – ლომის საახალწლო ცეკვა. ლომის ნიღაბი აიძულებს ახალგაზრდა ყმაწვილს ქანცის გაცლამდე იცეკვოს. ვინც მას შეეხება, თვითონაც გაშმაგებით იწყებს ცეკვას.

ბალეტის მუსიკალური პარტიტურა შედგება იაპონური დასარტყამი ინსტუმენტების სახელგანთქმული ანსამბლ „კოდო“-ს მუსიკოსების მიერ შექმნილი კომპოზიციებისაგან.

This one-act ballet was conceived by Nina Ananiashvili and created by Artistic Director of Bolshoi Theatre Alexei Ratmansky, who was a beginner choreographer at that time. It was premiered in 1998 in Moscow and since then this ballet has been performed on the major stages of the world. "Dreams About Japan" was awarded Japanese prize for the Best Ballet of the Year and Golden Mask Award, the highest theatrical prize in Russia. Original cast of the ballet included the soloists of the Bolshoi Theatre and Mariinsky Theatre Nina Ananiashvili, Tatiana Terekhova, Inna Petrova, Alexey Fadeyechev, Sergei Filin, Andrei Uvarov and Dmitri Gudanov.

"Dreams About Japan" is based on four famous plays of the Kabuki theatre:

I. "Sagi Musume" ("The Heron Maiden"); young girl mourns her lost love and sad destiny;
II. "Futa Omote" ("Double Possession"); souls of abandoned wife and husband of the defected lovers commit suicide, reunite in one evil spirit, that of half – men and half – women, catch up with the lovers and bring them to death;
III. "Musume Dojoji" ("Maiden of the Dojoji Temple"); young monk rejects the love of a maiden; sorrow, broken heart and pride transform her into the Fire Snake; she seeks her revenge, pursues and kills the terrified monk;
IV. "Kagami Jishi" ("New Year's lion Dance"); the masque of a lion forces a young man to dance to exhaustion; anybody, who dares to touch him, starts dancing frantically oneself;

The musical score of the ballet consists of six compositions by the musicians of the famous Japanese Taiko drum group Kodo.

ხატია ჯიჯეიშვილის ფოტო
Photo by KHATIA JIJEISHVILI

მარია კოჩეტკოვა
MARIA KOCHETKOVA

საქართველოს სახელმწიფო ბალეტის წამყვანი სოლისტი
Leading Soloist of State Ballet of Georgia

მარია კოჩეტკოვა, სანამ „სან-ფრანცისკო ბალეტს“ წამყვანი მოცეკვავის სტატუსით შეუერთდებოდა (2007-2018), მოსკოვის „ბოლშოი“ ბალეტის სკოლაში სწავლობდა, ცეკვავდა ლონდონის სამეფო ბალეტსა და ინგლისის ნაციონალურ ბალეტში. 2018-2020 წწ. მოღვაწეობდა როგორც მიწვეული წამყვანი მოცეკვავე, კურატორი და პროდიუსერი. 2020-2021 წწ. ფინეთის სახელმწიფო ბალეტის წამყვანი სოლისტი იყო.

როგორც მიწვეული არტისტი, მარია ცეკვავდა მოსკოვის „ბოლშოი“ თეატრსა და სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრში, სანკტ პეტერბურგის „მარიინსკის“ და „მიხაილოვის“ თეატრებში, ამერიკის ბალეტის თეატრში (ნიუ-იურკი), რომის ოპერაში, ლა სკალაში (იტალია), ტოკიოს ბალეტში (იაპონია), კუბის ნაციონალურ ბალეტში, მადრიდის Compañía Nacional de Danza-ში, ფინეთის ნაციონალურ ბალეტში, ბუენოს აირესის თეატრ „კოლონში“, ჰონგ-კონგ ბალეტში, დრეზდენში, ბერლინის სახელმწიფო ოპერაში (გერმანია), ნორვეგიის სახელმწიფო ბალეტში, ინგლისის, პორტუგალიის და კანადის ნაციონალურ ბალეტებში. 2013-2017 წწ. წამყვანი მოცეკვავის სტატუსით მიწვეული იყო ამერიკის ბალეტის თეატრში. 2018 წ. ნიუ-იორკის ჯოისის თეატრში მან წარმოადგინა პირველი სოლო პროექტი “Catch Her if You Can”.

მარია კოჩეტკოვას რეპერტუარშია: ჟიზელი („ჟიზელი“), ჯულიეტა (ტომასონის „რომეო და ჯულიეტა“); ოდეტა-ოდილია („გედების ტბა“), კიტრი (ნურიევისა და პეტიპას „დონ კიხოტი“), ავრორა („მძინარე მზეთუნახავი“), სილფიდა („სილფიდა“), მანონი (მაკმილანის „მანონი“), სვანილდა (ბალანჩინის „კოპელია“), ტატიანა („კრანკოს „ონეგინი“), კონკია (უილდონის „კონკია“), ნიკია (მაკაროვას „ბაიადერა“), სილვია

Maria Kochetkova trained at the Bolshoi Ballet School in Moscow and danced with The Royal Ballet, English National Ballet before joining San Francisco Ballet as a Principal Dancer from 2007 to 2018. From 2018–2020 she worked as a freelance Principal Dancer, curator and producer in the season 2020–2021 she joined Finnish National Ballet as a Principal Dancer.

Maria has performed as a guest artist with the Bolshoi and Stanislavsky Theatres in Moscow, the Mariinsky and Mikhailovsky Theatres in St. Petersburg, American Ballet Theatre in New York, Rome Opera, Teatro alla Scala in Milan, Tokyo Ballet, National Ballet of Cuba, Compañía Nacional de Danza in Madrid, Finnish National Ballet, Teatro Colon in Buenos Aires, Hong Kong Ballet, Dresden Semperoper, Staatsoper Berlin, Norwegian National Ballet, English National Ballet in London, Portuguese National Ballet, Finnish National Ballet and National Ballet of Canada. She was invited to join American Ballet Theatre as a principal dancer for the 2013–2017 seasons. In 2018 she presented her first solo project 'Catch Her if you Can' at the Joyce Theatre in New York where she commissioned works by William Forsythe, Marcos Morau, David Dawson, Jerome Bel, Drew Jacoby and Sam Spiegel.

Among Kochetkova's major roles are Giselle; Juliet in Tomasson's *Romeo & Juliet*; Odette/Odile in *Swan Lake*; Kitri in Nureyev's and Petipa *Don Quixote*; Aurora in *Sleeping Beauty*; *La Sylphide*; Manon in MacMillan's *Manon*; Swanilda in Balanchine's *Coppélia*; Tatiana in Cranko's Onegin; Cinderella in Wheeldon's Cinderella; Nikiya in Makarova's *La Bayadère*; Sylvia in Ashton's *Sylvia*, Medora in *Le Corsaire* and Grand Pas de

(ეშტონის „სილვია“), მედორა („კორსარი“), გრან პა დე დე („თოვლის დედოფალი“), ფერია დრაჟე (ტომასონის „მაკნატუნა“). სოლო პარტიები: ბენჟამენ მილპიეს, უეინ მაკგრეგორის, დეივიდ დოუსონის, არტურ პიტას, უილიამ ფორსაიტის, პოლ ლაითფუტის, იური პოსოხოვის, ქრისტოფერ უილდონის, ალექსეი რატმანსკის, ჰელგი ტომასონის, ლიამ სკარლეტის, ედუარდ ლიანგის და ეშლი ფეიჯის დადგმებში. მარია კოჩეტკოვას რეპერტუარი ასევე მოიცავს ფრედერიკ ეშტონის, ჯორჯ ბალანჩინის, იორმა ელოს, სერჟ ლიფარის, ჯერომ რობინსის და სხვა ქორეოგრაფების დადგმებს.

მარია კოჩეტკოვა მრავალი ჯილდოს მფლობელია. დაჯილდოებულია ოქროს მედლით NBC-ის შოუში „Superstars of Dance“ (2009). არის „წლის ბალერინას“ ჯილდოს „Premio Positano“-ზე (2017), „Benois de la Danse“-ს პრემიის (2018), ჟიზელის პარტიის შესრულებისთვის აისედორა დუნკანის ცეკვის ჯილდოს მფლობელი (2018). გაიმარჯვა და ოქროს მედალი დაიმსახურა ლუქსემბურგის საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე (2003), კორეისა და იტალიის საერთაშორისო საბალეტო კონკურსებზე (2005). 2002 წელს ვარნის საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე, ვერცხლის მედლის და ჟიურის პრიზიორი გახდა. ამავე წელს, „Prix de Lausanne“-ს კონკურსზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. 2001 წელს, ბრინჯაოს მედალი აიღო მოსკოვის საერთაშორისო კონკურსზე.

Deux Ballerina, *Queen of the Snow*, and Sugar Plum Fairy in Tomasson's *Nutcracker*.

She created principal roles in Millepied's The Chairman Dances; McGregor's *Borderlands*; David Dawson's Anima Animus, Arthur Pita's Bjork Ballet, William Forsythe's Pas/Parts, Paul Lightfoot's Selfportræt, Yuri Possokhov's *Classical Symphony, Diving into the Lilacs, Francesca da Rimini, Swimmer* and *Raymonda Pas de Deux*; Christopher Wheeldon's *Cinderella, Within the Golden Hour* and *Number Nine*; Alexei Ratmansky's *From Foreign Lands*; Tomasson's *Caprice, On a Theme of Paganini*, and *Trio;* Liam Scarlett's *Hummingbird*; Edwaard Liang's *Symphonic Dances* and Ashley Page's *Guide to Strange Places*. Her repertory also includes Ashton's, Balanchine's, Elo's, Lifar's, Jerome Robbins', Possokhov's, Ratmansky's, Tomasson's and Wheeldon's works.

